წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

(თვისებრივი ნაწილი)

11 მაისი-11 ივნისი 2012

„ინტერნიუსი-საქართველომ“ 2012 წლის 11 მაისი - 11 ივნისის პერიოდში განახორციელა 12 რადიო სადგურის საღამოს საინფორმაციო საშუალებების მონიტორინგი. მონიტორინგი ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ანალიზს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ხდება მონიტორინგის სუბიექტების მიმართ დათმობილი დროის დათვლა და შესაბამისი ტონის განსაზღვრა. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად.

განხორციელებული მონიტორინგის პირველი თვის თვისებრივი ნაწილის ძირითადი მიგნებებია:

- უშუალოდ ჟურნალისტები ნაკლებად აკეთებენ შეფასებებს მომზადებულ სიუჟეტთან ან კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირებით;

- ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ტონი ძირითადად ნეიტრალურია;

- ნეგატიური ტონი კონკრეტული სუბიექტის მიმართ ძირითად შემთხვევებში გამოიყენება ციტირების, ან ერთი სუბიექტის მიერ მეორეზე საუბრის შემთხვევაში;

- ნეიტრალურ ტონთან შედარებით, მცირეა პოზიტიური ტონის გამოყენება და ხშირ შემთხვევაში იგი გვხვდება ერთი სუბიექტის მხრიდან თავისივე ან

ცალკეული პოლიტიკური ჯგუფის პოლიტიკური აქტივობის და მიღწეული შედეგების თაობაზე გაკეთებულ შეფასებებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა ისეთი მოვლენები როგორებიც იყო სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში, დამოუკიდებლობის დღე და ქართული ოცნების მიერ 27 მაისს გამართული აქცია. შესაბამისად აღნიშნული ღონისძიებები ყველაზე ფართოდ იქნა გაშუქებული. დიდი დრო დაეთმო ასევე ჩიკაგოს სამიტსა და საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გაშუქების დროის გადანაწილება ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ჯგუფებს შორის რადიკალურად არ განსხვავდება და დიდწილად დაკავშირებულია კონკრეტული სუბიექტის მიერ განხორციელებულ აქტივობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანიების დაწყებასთან ერთად რადიოებმა მნიშვნელოვანი დრო დაუთმეს პოლიტიკური სუბიექტების ვიზიტებს საქართველოს რეგიონებში.